

პროფ. ვ. ნ. გესტმანი

F18.711  
2

## მოკლე სანიმუშო პროგრამა.

სოფლის, დაბის, ძალაძის, კურორტის ან რაიონის  
გეოგრაფიულ და ეკონომიურ-გეოგრაფიული  
აწერისა.

კორექტორი ი. კუპრაძე  
გადაეცა წარმოებას 16/XII—34  
ხელმოწერ. დასაბეჭდ.—10/I-35


მთავლიტ. № 2718  
შეკვეთა № 173  
ტირაჟი 1000



## წინასიტყვაობა

მკითხველთათვის საყურადღებოთ წარმოადგენილ „გეოგრაფიული და ეკონომიური ცნობათა შეკრების მოკლე სანიმუშო პროგრამა“ მიზნათ ისახავს დახმარება გაუწიოს იმ პირებს, რომლებიც მოისურვებდნენ ხელი მოკიდონ ჩვენი რესპუბლიკის ამა თუ იმ მხარის აწერის საქმეს. „მოკლე პროგრამა“ პრეტენზიას არ აცხადებს მის სისრულეზე ან ორიგინალობაზე, შემდგენელი ფიქრობს, რომ ეს პროგრამა არ იქნება უსარგებლო, როგორც დამხმარე საშუალება, ჩვენი ახალგაზრდა მხარეთმცოდნეთათვის.

პროფ. ბ. გუბუაძე



911.3:33(479.22)



საქართველოს ენციკლოპედია  
საქართველო

F18.711  
2

საქართველოს ენციკლოპედია  
საქართველო  
1985 წელი  
მ. თბილისი



# მეკლე სანიგუშო პროგრამა

სოფლის, დაბის, ჭალაჰის, კურორტის ან რაიონის  
ვეთკრაფიულ და ეკონომიურ-ვეთკრაფიული აწარმ-  
სათვის

## • მოვრკრაფია და ვეოლოგია.

1. ასაწერ ადგილის ხასიათი და საერთო სახე: მთი-  
ანი, ბორცვიანი, ვაკე, ბარი, უდაბნო და სხვ.—ასაწერ  
ადგილში არსებული მთის ჯიშები: (რბილი, ფხვიერი, მა-  
გარი.—მთავარ მთის ჯიშების გამოსვლა და გაშიშვლება)  
—(გაშიშვლებულ მთის ჯიშების სიძლიერის დაწვრილებით  
აწერა.—ფენათა დალაგება: ჰორიზონტალური, ვერტიკა-  
ლური, დახრილი—ტალღისებური გადახნეჭვა და ნაოჭები.

2) ხეობები, ღრე და ლელები (მათი სიღრმე, სიგანე  
სიგრძე), ნათი დაქანება: რამდენად მოფენილია მცენარე-  
ულით (ხეებით, ბუჩქებით).—(გაშიშვლებულ ხეობების,  
ღრეების და ლელების მთის ჯიშები (სილა, თიხა, კირ-  
ნარი და სხვ.).—ლელების და ღრეების წარმოშობის და  
ზრდის მიზეზები.—ლელების წინააღმდეგ ბრძოლის სა-  
შუალებანი.

3) გამოქვაბულები: მათი მდებარეობა, ფორმა, სიდი-  
დე და მთის ჯიშები, სადაც გამოქვაბულები წარმოიშვნ.—  
გამოქვაბულების წარმოშობა (მიმდინარე წყლით გარეც-  
ხვით, გამოქარვით; გამოთხრილია თუ გაფართოვებულია  
ადამიანის მიერ).—ჩავარდნილი ადგილი (провалы).—მი-  
წის ქვეშა ხვრელები.—თაბაშირის და ქვამარილის ბუდო-  
ბი.—სტალაქტიტები და სტალაგმიტები.

4) სასარგებლო მადნეული ასაწერ ადგილას (ქვანახში-  
რი, მარგანეცი, მარილები, აზბესტი, ფიქალი, თიხა, კირ-  
ნარი, ბარიტი, „გუმბრინი“, „ასკანიტი“, რკინა, სპილენ-  
ძი, ნავთი და სხვ.).—დაწვრილებითი აწერა იმ ადგილე-  
ბისა, სადაც ისინი მოიპოვება (რა მანძილითი არის დაშო-



რებული სოფლიდან, დაბიდან ან ქალაქიდან, რა ადგილ-  
შია—ადგილობრივი სახელწოდება—და რა მიმართულე-  
ბით მდებარეობს.)—ქვების და მთის ჯიშების ამოღება  
და გადამუშავება შენობების და წისქვილის ქვის გასა-  
კეთებლად.—კირნარის გამოწვა, აგურის, კრამიტის, თი-  
ხის ჭურჭლეულის დამზადება.—დამუშავების წესები და  
საშუალებანი.

## 2. წყლები

1) მდინარეები და მათი შენაკადები; წყალვარდნილები;  
მორევეები; ჩანჩქერები; ჩქერები; ჭორომები; მდინარის კუნძ-  
ულები; მათი სახელწოდება:—მდინარის სიგანე. სიგრძე და  
დინების სისწრაფე.—მდინარის დაკარგვა მიწის ქვეშ. მდ.  
ნაპირები (ციცაზო, დაქანებული, ქვიანი, თიხიანი და  
სხვ.)—ცვალებადი წყლის კალაპოტი.—შვავი.—მდინარის  
ადიდება (წალეკვა) გაზაფხულზე და შემოდგომაზე; მდი-  
ნარის რეჟიმი ზაფხულში და ზამთარში.—მდინარის წყლის  
თვისებები (ფერი, ტემპერატურა, გამჭვირვალობა; გაყინ-  
ვის და გაღობის დრო.—ყინულის სისქე.—წყალდიდო-  
ბა, (მისი ხანგრძლივობა).—მდინარის გადარეცხვის და  
დანაშვის (НАМЫВ) ხასიათი.—მდ. ფსკერის ხასიათი (ქვი-  
ანი, სილიანი და სხვ.).—მოჭენილია მდინარის ნაპირები  
მცენარეულით თუ არა (ტყე, ბუჩქნარი, ბაღები, ბოს-  
ტნები).—მთის მდინარეები; მათი დინების სიძლიერე.—  
მთის მდინარეების წყლის რეჟიმი.

2) წყაროები და მათი სახელწოდება.—მათი მდებარე-  
ობა.—წყაროების ტემპერატურა და შემადგენლობა  
(გემო, სუნი, მარილიანი, გოგირდიანი, რკინიანი, კირი-  
ანი, მწარე და სხვ.).—წყაროების და ქვენიდადაგის წყლე-  
ბის დამშლელი ხასიათი (შვავი, მეწყერი).—მუდმივი და  
ადგილცვალებადი წყაროები.—წყაროების წყლის დები-  
ტი.—არის თუ არა მინერალური და სამკურნალო წყლე-  
ბი (ცხელი, თბილი, ცივი); ამ წყლების შემადგენლობა;





წყლის დებიტი; სარგებლობს თუ არა ადგილობრივი სახლეობა მინერალურ და სამკურნალო წყლებით და ტალახით; რომელ ავადმყოფობისაგან მკურნალობს მოსული და ადგილობრივი მოსახლეობა ამ წყლებით და ტალახით (აწერეთ დაწვრილებით ის მინერალური და სამკურნალო წყაროები, რომლებიც ცნობილია მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობისათვის; აღნიშნეთ ზუსტად მათი ადგილმდებარეობა).

3) ტბები და ჭაობები.—მათი სახელწოდება.—ტბების რაოდენობა, ადგილმდებარეობა, სიდიდე, ფორმა, სიღრმე, უდიდესი სიღრმე.—ერთვის თუ გამოდის მდინარეები ტბიდან.—ტბების ნაპირები: დაბლობი, ციცაბო, ჭაობიანი, სიღნარი, ქვიანი.—ტბის წყლის თვისება (მლაშე, უმარილო).—ტბის წყლის ფერი.—ტბის წყალმცენარეები.—ტბის გადიდება, დაშრობა, დაჭაობება.—მცენარეულობა ტბის ნაპირებზე.—იყინება ტბა თუ არა.—ტბაში გავრცელებული თევზების ჯიშები.—ტბის სამეურნეო მნიშვნელობა.—ჭაობების ზოგადი დახასიათება.

4) ყინვარები და მათი ადგილმდებარეობა; ყინვარის ადგილობრივი სახელწოდება; ყინვარის მოძრაობის ხასიათი და სხვ.

3. ჰ ა ვ ა

საწყვი

1) საწყვი ადგილების ჰავა.—ზამთრის და ზაფხულის ხანგრძლივობა.—შემოდგომის და გაზაფხულის ხასიათი.—შემოდგომის და გაზაფხულის რთვილი.—ზაფხულის ყველაზე უფრო ცხელი და ზამთრის ყველაზე უფრო ცივი დღეები.—მოწმენდილი, მოღრუბლული და წვიმიანი დღეთა რიცხვი.—ადგილის რელიეფის გავლენა ტემპერატურის რხევაში.

2) ატმოსფერულ ნალექების წლიური რაოდენობა; ატმოსფერულ ნალექების საერთო რაოდენობა თვეების მიხედვით.—წვიმა, ქარიშხალი, სეტყვა, თოვლი (მისი სი-



დიდე); წვიმის, ქარიშხალის და სეტყვის სიხშირე განმავლობა ში.

3) ქარი; ადგილობრივი ქარები.—ქარის გავლენა ამინდზე.—მთავარი ქარები და მათი ტემპერატურა.

4) გვალვა და მისი ხანგრძლივობა.—

5) ამინდის გავლენა ბალის, ბოსტნის, ვენახის და მინდვრის კულტურის მავნებლების გავრცელებაზე.—ამინდის გავლენა მოსავალზე.—მცენარეთა და ნათესების დაზიანების შემთხვევები ყინვისაგან, გვალვისაგან, წვიმისაგან, სეტყვისაგან, რთვილისაგან, ქირხლისაგან და ნაადრევი (დილის) ყინვებისაგან.

#### 4. ნ ი ა დ ა ზ ი.

1) სხვადასხვა ნიადაგების გავრცელების დამოკიდებულება რელიეფისაგან.—ნიადაგის ნაყოფიერება.—სხვადასხვა ნიადაგების დამუშავების წესები.—მცენარეულობა და ნიადაგის კულტურული მდგომარეობა (სახნავი, მდელო—სარწყავი, მდელო—ურწყავი, ტყე—წიწვიანი, ტყე—ფოთლოვანი ან შერეული).—ნიადაგის ფერი: შავი, წაბლისფერი, ნაცრისფერი და სხვ.—ნიადაგის სიმაგრე (ფხვიერი, მიმკრობი და სხვ.).

2) ნიადაგის სტრუქტურა (მარცვლოვანი, გოროხოვანი, ლორლიანი, მტვერისებური); ნიადაგის შემადგენელი ნაწილები (სილა, ხრეში, ხვინჭა და სხვ.).

3) ქვენიადაგის შემადგენლობა (სილა, თიხა, კირნარი და სხვ.).

4) სხვადასხვა ნიადაგების ადგილობრივი სახელწოდება

5) ნიადაგის ვერტიკალური ზონალობის ხასიათი.

#### 5. მ ე ლ ი ო რ ა ც ი ა.

1) მორწყვა; მორწყვის წესები.—საინჟინერო არხები და რუები; მათი მნიშვნელობა და გამოყენების ხასიათი.—ყანების, ბოსტნების, ბაღების, ვენახების და ტექნიკური კულტურების მორწყვის წესები.



2) ჭაობების დაშრობა, ამ დაშრობის სისტემები.—  
ამომშრალ ადგილების გამოყენება სხვადასხვა სასოფლო-  
სამეურნეო კულტურისათვის.

3) სხვა მელიორაციის სახეები.

## 6. მცენარეულობა.

1) ტყეები და ტყეების მასივები; მათი ადგილმდებარეობა; მათი საერთო სივრცე; ტყის ხნოვანობა.—გავრცელებული მერქნიანი ჯიშები (ფოთლოვანი, წიწვიანი).—ძვირფასი ჯიშები.—ტყის მერქანის ექსპლოატაციის წესები; გაჩეხვის წესები და მისი ტექნიკა; ტყის მოვლა; ტყის ხანძარი; ტყის დაცვა; ტყის პროდუქტები (შეშა, ფიჩხი, საშენი მასალა და სხვა); ტყესთან დაკავშირებული ხელობა (ნადირობა, ნახშირის გამოწვა, ფისის მიღება, შეშის დამზადება და სხვ.); არის თუ არა გავრცელებული ხის დამმუშავებელი შინა-მრეწველობა; აძოვებენ თუ არა საქონელს ტყეში (როდის, რატომ; რა გავლენას ახდენს ტყეზე).—ხეტყის მასალის დამზადება და გეგმების შესრულება; ტყეების ხელოვნურად მოშენება; სახელმწიფო და ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები.—საკურორტო ტყეები.—ტყის ხეხილი და ხილი; სოკოები; მათი აწერა; რამდენად გავრცელებულია მათი დაკრეფა და სხვადასხვა სახით გამოყენება.—თრიმლოვანი მცენარეულობა; მათი ბოტანიკური და ადგილობრივი სახელწოდება; მათი გამოყენება.

2) მდელოების მცენარეულობა; მდელო: სარწყავი, ჭაობიანი, მშრალი, ტყიანი;—მდელოს გამოყენება (საქონლის ძოვება, სათიბი, თივის რაოდენობა და ღირსება.—არის თუ არა შემთხვევები სახნავ-სათესი მიწების და ყამირის ველათ გაშვებისა.

3) ჭაობების მცენარეულობა.—მცენარეულობის ცვალებადობა ჭაობების დაშრობის შემდეგ.

4) ველი—მდელოს, ქვიანი, ვაციწვეროვანი, აბზინტო-



, ბიცოვანი; ველში მცენარეულობის განვითარება წლის დასხვა დროში.

5) ტყის, მდელოს, ველის, ჭაობის გადაქცევა სახნავეს მიწებად.— მიწდვრის სარეველა მცენარეების მთავარ მომადგენლები და მათი გავრცელების სიხშირე ადგომის, გაზაფხულის ნათესებში და ბოსტანში.

6) გარეული ტექნიკური და საკვები მცენარეები.— ვერის, ბალის და ბოსტნის კულტურული მცენარეე-გემოვანი მცენარეები (თამბაქო, ჩაი და სხვ.).— ურნალო მცენარეები (ადგილობრივი მცხოვრებნი, რომ სამკურნალო მცენარეებს სთვლიან უფრო სასარგებოდ; ამ სამკურნალო მცენარეების სახელწოდება).

7) მცენარეულობის ვერტიკალური ზონალობის დახატება.

### პაუნა (ცხოველები.)

1) ასაწერ ადგილის გარეული ცხოველები (ძუძუმწოვრები, ქვემძრომნი, ფრინველები, მწერები).— ადამიანისა-სასარგებლო და მავნე ცხოველები ამ ადგილას.— წავი ცხოველები (რომელ ცხოველებზე ნადირობენ ეულის და ტყავის მისაღებათ: დათვი მელა, მგელი, ნა და სხვ.).— სარეწავი გარეული ფრინველები (ბაიხვი, გნოლი, კაკაბი, ხოხობი, როჭო, შურთხი და

2) ადგილობრივ წყლებში გავრცელებული თევზის ჯი-  
.— მათი დახასიათება.

### მოსახლეობა.

1) ასაწერ ადგილის მოსახლეობის საერთო რაოდენო-  
ბა მისი ზრდის დინამიკა, სპირველ ხუთწლედის გან-  
ობაში. — მოსახლეობის განაწილება სქესის, ასაკის და  
ალურ მდგომარეობის მიხედვით. — მოსახლეობის სიმ-  
ოფე. (მოსახლეობის ორგანიული და მექანიკური

სხვა



ზრდის დინამიკა პირველ ხუთწლეულის განმავლობაში მოსახლეობის შრომის უნარიანობა. — დაქირავებულ შებენის რიცხვი მრეწველობაში, აღმშენებლობაში, სოფ. მეურნეობაში და სხვ.; დაქირავებული მუშაკალების რიცხვი; მრეწველობის და სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა მუშა ხელით; მოსახლეობის არა სამიწათ-მოქმედ საქმიანობა და სამუშაოზე გარეთ წასვლა. — შრომის ციკლისტური ფორმები.

### 9. ენერგეტიკა.

1) საწვავ-სათბობის სახეები: ა) ქვანახშირი, ბ) ნავთობი და სხვ.

2) „თეთრი ნახშირი“; მდინარეების და წყალვარდნების ძალა, როგორც ენერგეტიული ბაზა.

3) ელექტროფიკაცია; მთავარი ელსადგურების და სიათება და მათი სიმძლავრე.

4) მექანიკური და ცოცხალი გამწვევი ძალა სოფ. მეურნეობაში.

### 10. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

1) რკინის გზები; რკინის გზების ლიანდაგის სიგრძე რკინის გზების ქსელის სიხშირე.

2) ავტოტრანსპორტი.

3) გზატკეცილები, შარა გზები, სოფლის გზები საქაპანზიდვო ტრანსპორტი. — გზების მდგომარეობა.

4) ტვირთბრუნვა.

5) ნავთსადგური და მისი მუშაობის დახასიათება.

6) არის თუ არა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და ტელეფონი.

7) როდის გაიყვანეს პირველად ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო.

8) როგორ იღებს მოსახლეობა კორესპონდენციას, რნალ-გაზეთებს და სხვ.





9) რამდენი დღის შემდეგ მოდის დაზღვეული და რალო წერილი, გაზეთები, ამანათი და სხვ.

**11. მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა .**

1) მძიმე და სუბუქი მრეწველობის დარგები.—ფაბრიკები და ქარხნები.—მათი მოკლე ისტორია (დაარსების წელი, პირველი მუშები, განვითარების საფეხურები, ფაბრიკის ან ქარხნის მდგომარეობა ამჟამად).

2) მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი.

3) ფაბრიკების და ქარხნების საერთო პროდუქცია; ძირითად ფონდების ღირებულება, მოწყობილობის და ძრავების სიმძლავრე; დამუშავებულ პროდუქციის რაოდენობა ნატურალურ ერთეულებში; წირველ ხუთწლედის განმავლობაში აგებული საწარმოები (წამოწყებები) და მათი ხვედრითი წონა თანახმად მუშათა რიცხვისა და საერთო პროდუქციისა, წამოწყებების ახალი სახეები და პროდუქტები, რომლებიც უწინ არ მხადდებოდა ასაწერად გილას.—კოოპერატიული მრეწველობა და მისი სახეები: სამრეწველო კოოპერაციის საერთო ბრუნვა (ინოტი).

4) სახელოსნო წარმოება; ხელოსნობის, რომელი სახეები და დარგებია გავრცელებული ასაწერად გილას (აწერეთ ცალ-ცალკე); სახელოსნო წამოწყებათა საშუალო პროდუქცია.—სახელოსნო „არტელები“.—სახელოსნო წარმოების პროდუქცია.—უძველესი ხელოსნობანი. (ხელოსნების რიცხვი.)

**12. მ ი წ ა თ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა .**

1) კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და ინდივიდუალურ მეურნეობათა მიწათსარგებლობა.

**13. ს ო ფ ლ ის მ ე უ რ ნ ე ო ბ ა (მიწადმოქმედება).**

ა) ზოგადი ნაწილი.

1) ასაწერად გილის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია და ამ სპეციალიზაციის მიღწევები.



2) სახმარ მიწების განაწილება სექტორების (საბჭოთა მეურნეობათა, კოლექტიურ მეურნეობათა და ინდივიდუალურ მეურნეობათა) შორის.

3) ნათესების საერთო ფართობი და მისი დინამიკა; ნათესების ფართობი სექტორების მიხედვით; ნათესების ფართობი და კულტურების ხვედრითი წონა; ნათესების ფართობის ხვედრითი წონა სექტორების მიხედვით; სხვადასხვა კულტურების ფართობის ხვედრითი წონა სექტორების მიხედვით.

4) მოსავლიანობა სექტორების და კულტურების მიხედვით.

5) სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობა.

6) სოფლის მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქცია სექტორების მიხედვით და პროდუქციის დინამიკა.

7) სასოფლო სამეურნეო ინვენტარი სექტორების მიხედვით (ტრაქტორები, კომბაინები, ავტომობილები, სამკალი—მანქანები, გასანიავებელი მანქანები, ექსტირპატორები, გუთანნი, ნამგალი, ცელი, თოხი და სხვ.).

8. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტემპები.

9) სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და მისი დინამიკა.

10) სასოფლო სამეურნეო არტელები.—კოლმეურნეობათა უპირატესობა შედარებით ინდივიდუალურ მეურნეობასთან.

11) ~~საბჭოთა მეურნეობათა მშენებლობა და მისი წამყვანი როლი სოფლის მეურნეობაში.~~

## ბ) სპეციალური ნაწილი.

12) მემინდვრეობა; უმთავრესი მცენარეული კულტურები.—~~პურეულობის~~ მოსავლიანობა (სიმინდი, პური, ქერი, ქვავი, ღობი და სხვა).—~~ყოველწლიური~~ საერთო მოსავალი (პურეულის, ღობიოს, კართოფილის).—ნიადაგის და-



მუშავეების წესები შემოდგომის და გაზაფხულის ნათესაობისათვის; ნიადაგის გაპატივება (გაპოხიერება); რა რაოდენობის თესლი ითესება ერთ ჰექტარზე (ან დღიურზე, ჰექტევაზე); მოსავლის აკრეფის წესები; — გაღებვის წესები სარწყავი და ურწყავი მიწების გამოყენების წესები.

ძირ-ნაყოფების და ბოლქვნაყოფთა კულტურა. ძირ-ნაყოფებით დაკავებული მიწის არე (ქარხალი საკვებ-შაქრის; ბოლოკი, თვის ბოლოკი; სტაფილო და სხვ., როგორ იყენებს მოსახლეობა ძირ-ნაყოფებს; როგორ იხეხავს; მათი საშუალო მოსავლიანობა; კოლმეურნეობაში მოხმარება და გასაღება. — კართოფილით დაკავებული მიწის სივრცე (კარტოფლის ჯიშები); კართოფლის საშუალო მოსავლიანობა; როდის შემოდის პირველად ასაწერად ადგილას კართოფილის კულტურა.

ცერცოვან მცენარეთა კულტურა; ლობიო (მისი ჯიშები); ცერცი; მუხუდო; სესირი, სოია და სხვ.

**ბექნიკური მცენარეები:** ბამბა, თამბაქო. — ნიადაგ-დამუშავეების წესები ბამბის და თამბაქოს დასათესად. — ბამბით და თამბაქოთი დაკავებული მიწის არე. — ბამბის და თამბაქოს პლანტაციების რაოდენობა. — ბამბის და თამბაქოს პლანტაციები საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და ინდივიდუალურ მეურნეობებში. — ბამბის და თამბაქოს საშუალო მოსავლიანობა. — კონტრაქტაცია. ბამბის გასაწმენდი მანქანები.

ჩაის ბუჩქის გაშენება. — ჩაის ბუჩქის კულტურა საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და ინდივიდუალურ მეურნეობებში. — ჩაის ბუჩქით დაკავებული მიწის არე. — ჩაის ბუჩქის პლანტაციების რაოდენობა. — ჩაის ფორმის საშუალო მოსავლიანობა. — ჩაის დამზადება ადგილობრივ ქარხანაში (ჩაის დამზადების წესები).

ზეთოვან მცენარეთა კულტურა; მზისუმბირის, არხისის და აბუსალათინის კულტურა.



13) თესლთაბრუნვა და მისი მთავარი სახეები.—ადგილობრივი თესლთაბრუნვის თავისებურობა.

14) მებოსტნეობა—საბჭოთა მეურნეობათა, კოლმეურნეობათა და ინდივიდუალურ მეურნეობათა რიცხვი, რომლებიც მარტო მებოსტნეობას მისდევენ.—მებოსტნეობის ხვედრითი წონა სექტორების წიხედვით. ბოსტნების არაობი.—მებოსტნეობის პროდუქციის რეალიზაცია კომბოსტო, კიტრი, სტაფილო, ოქროვანშლა, ბადრიჯანი, ხახვი, ჭარხალი, გოგრა, სახამთრო, ნესვი და სხვ.)—სად იძენს მოსახლეობა ბოსტნეულობის თესლს.—ბოსტნეულის დამზადება-დამარილება (წნილი); გახმობა; როგორ ინახავენ ბოსტნეულობას და სად.

15). **მებაღეობა მეხილეობა.**—ადგილობრივი ბუნებრივი პირობები ხეხილის გაშენებისათვის;—ბაღების სართო სივრცე (ხეხილის ნერგებით);—საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და ინდივიდუალურ მეურნეობების ბაღები;—ბაღების ფართობის დინამიკა;—ხეხილის ზღვლა-წამლობა; ბაღებში უმთავრესად რომელი ხეხილი ჭარბობს, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი, ჭერამი, ბაილი) ალუბალი, კომში და სხვ.); ადგილობრივ ხილის დამზადება; ხილის საშუალო მოსავლიანობა; (კოოპერაციის რეალიზაცია) მებაღეობის განვითარებისათვის; სად და როგორ იმუშავებენ ხილს; როგორ ინახავენ ხილს და სად; ხილის დამამუშავება (გახმობა—ჩირი და სხვ.); კონსერვები; კინოზიდას, მოცხარის, მარწყვის, ხენდროს, ყოლის და სხვ. გაშენება.

სუბტროპიკულ ხეხილის გაშენება; ციტრუსოვან მცენარეთა: მანდარინა, ფორთოხალი, ლიმონი და სხვ.; რა დედანი უჭირავს ციტრუსოვან ხეხილს; მათი მოსავლიანობა; ციტრუსოვან ხეხილის რეალიზაცია; ციტრუსოვან მცენარეულ კულტურები საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში; იაპონური ხურმა, ზღმარტლი და სხვ.



ხეთისხილის, კაკლის ხის და თხილის გაშენება; ზეთის-  
ხილის, კაკლის და თხილის საშუალო მოსავალი; რეალი-  
ზაცია.

16) **მევენახეობა და მეღვინეობა.** ვენახით დაკავე-  
ბული სივრცე; ვაზის გავრცელებული ჯიშები ასაწერად  
ადგილას; საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის და ინდი-  
ვიდუალურ მეურნეობის ვენახები.—ვენახის მოვლა.—ვე-  
ნახების სახე (დაბლარი, მაღლარი, ნამყენი, ადგილობ-  
რივი—დაუმყენელი, ვენახის პროდუქცია ერთ ჰექტარი-  
დან; ვენახის ავადმყოფობანი (ფილოქსერა და სხვ.); გავ-  
რცელების სიმძლავრე და ბრძოლის მეთოდები.—მეღვი-  
ნეობა; ღვინის პროდუქცია; საშუალო ღვინის მოსავალი  
ასაწერად ადგილას; ადგილობრივი ღვინის ღირსება; ღვი-  
ნის დაყენების წესები; ღვინის შენახვა; ღვინის ადგილო-  
ბრივი მოხმარება; ღვინის გასაღება.

არყის გამოხდა.

მევენახეობა—მეღვინეობის საერთო მდგომარეობა ამ-  
ჟამად გასულ წლებთან შედარებით.

#### 14. ~~სოფლის მეურნეობა~~ (მეცხოველეობა)

ა) მესაქონლეობა საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეუ-  
რნეობებში და კოლმეურნეობათა სასაქონლო ფერმების  
მშენებლობა.

1) საკვები ბაზა; სათიბები და საბალახოები; მათი  
სივრცე; მდელოს საერთო სივრცე; მდელოების ადგილ-  
მდებარეობა; სანახირე მიწები; საკვებ ბალახის გაშენება  
(იონჯა, სამყურა და სხვ.); თიბვის დაწყების და დამთავ-  
რების დრო; ბალახის თიბვის და აკრეფის საშუალებანი  
(ხელით, მანქანით); საშუალო მოსავალი თივისა ერთ ჰექ-  
ტარიდან; აკმაყოფილებს თუ არა მიღებული თივა მეურ-  
ნეობის მოთხოვნილებას; საბალახოების დახასიათება; სა-  
ზაფხულო და საზამთრო საძოვრები; მათი საერთო დახა-  
სიათება; მომთაბარე მესაქონლეობის სისტემა.

2) მუშა და საჩქვევ მსხვილ-ფეხა რქოსანი საქონლის





რაოდენობა; ადგილობრივი, შერეული და უცხო ჯიშები; არის თუ არა სანაშენო საქონელი; კოლმეურნეობათა და ინდივიდუალურ მეურნეობათა მუშა საქონლის უზრუნველყოფის დონე.—რამდენად უზრუნველყოფილია კოლმეურნეობები და ინდივიდუალური მეურნეობები ძროხებით.—რამდენს იწველის საშუალოდ ადგილობრივი ჯიშის ძროხა; წლიური წველა; ლაქტაციის ხანგრძლივობა; სარძევე საქონლის კვების პირობები ზამთარში და ზაფხულში; ბაგურ კვების და ძოვების პირობები; ძროხების მოვლა; რძის უტილიზაცია; კარაქის, ყველის და ხაჭოს დამზადება; რძის გადამუშავების საშუალებანი (სადღვებელი, სეპარატორი და სხვ.).—არის თუ არა ასაწერ ადგილას სახორცე საქონელი; ტყავის უტილიზაცია.—მუშა და პროდუქტული საქონლის გამოყენების ხანგრძლივობა.—ადგილობრივი ფასი ხარზე, ძროხაზე, კამეჩზე, ხბოზე, ზაქზე

117  
18  
1

3) მეცხენეობა. ცხენის ჯიშები; მუშა და საჯდომი ცხენები; ცხენების რაოდენობა სექტორების მიხედვით; ცხენების მოშენება.

აქლემის, ვირის და ჯორის მოშენება. (ადგილობრივი ფასები ცხენზე, აქლემზე, ვირზე, ჯორზე.)

4) მეცხვარეობა. ცხვრის ჯიშები (მათი მოკლე აწერა); მეცხვარეობის დინამიკა; მეცხვარეობა სექტორების მიხედვით; სად და როგორ ამოვებენ ცხვარს ზამთრობით და ზაფხულობით (შემოდგომით, გაზაფხულობით); როდის იპარსება ცხვარი და რამდენი მატყლი მიიღება საშუალოდ ერთი ცხვირიდან წლის განმავლობაში; მატყლის ღირსება; მეცხვარეობის პროდუქტის (მატყლის, ყველის და სხვ.) რაოდენობა; (ადგილობრივი ფასი ვერძზე, ცხვარზე, კრავზე და მატყლზე); ცხვრის ყველი (თუშური, ოსური, თათრული და სხვ.) და მისი ღირსება; ვისგან შესდგება მწყემსები; მათი შრომის ანაზღაურება; ადგილობრივ მეცხვარეობის საკირობები და საკილო მისაღები ზომები მეცხვარეობის განვითარებისთვის.

საქართველოს  
საქონლის  
სამართლებრივი  
სამსახური



5) რამდენად განვითარებულია მელორეობა; მელორეობა სექტორების მიხედვით; რა ჯიშებია გავრცელებული; მელორეობის პროდუქტების უტილიზაცია.—მელორეობის საბჭოთა მეურნეობები.

6) მეფრინველეობა სექტორების მიხედვით; ფრინველის რომელი სახეა უფრო გავრცელებული (ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი და სხვ.); ადგილობრივი ჯიშისა თუ უცხო და რომელი; რა ზომებია მიღებული მეურნეობის განვითარებისათვის და როგორ უყურებს მოსახლეობა უცხო ჯიშების მოშენებას; მეფრინველეობის პროდუქციის უტილიზაცია.

7) კოლმეურნეობათა სასაქონლო ფერმების მშენებლობა: მერძეობის ფერმები, რიცხვი და მათში მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა; მეცხვარეობის ფერმები (რიცხვი, მათში ცხვარი); მელორეობის ფერმები (რიცხვი, მათში ლორი); მეცხენეობის ფერმები (რიცხვი, მათში ცხენები); მეფრინველეობის ფერმები (რიცხვი, მათში ფრინველი).

8) შინაური კურდღლის მოშენება.

## 15. მებარეშუმეობა.

1) მებარეშუმეობა სექტორების მიხედვით; სად იძენს მოსახლეობა აბრეშუმის თესლს; პარკის საშუალო გამოსავალი ერთ კოლოფ თესლიდან; მებარეშუმეობის პროდუქციის უტილიზაცია; აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა; აბრეშუმის საქსოვი ქარხანა; აბრეშუმის ძაფსართავი ქარხანა, თუთის ხის პლანტაციები; მათი მდგომარეობა.

## 16. მეფუტკრეობა.

1) მეფუტკრეობა სექტორების მიხედვით; მეფუტკრეობის ფერმები (რიცხვი, მათში ფუტკარი); გეჯის და ჩაოიან სკების რაოდენობა; სადაა მოთავსებული საფუტკრე (ტყეში, ბაღში, ეზოში); სად ნზადდება სკები (აღ





გილობრივ თუ შემოაქვთ); რა ხელსაწყოები (მანქანები) არსებობს თაფლის სარაჯიდან მისაღებად; როგორ უვლიან ფუტკარს ზამთრობით და სხვა დროს; ითვისება თუ არა თაფლის მომცემი ბალახები და ყვავილები; რომელი მცენარეები ითვისება ადგილობრივ მოსახლეობის მიერ თაფლის მომცემთა; არის თუ არა შემთხვევა მათრობელა თაფლის მიღებისა; როდის იღებენ პირველ თაფლს; საშუალოდ რამდენ თაფლს და ცვილს (სანთელს) იღებენ ერთ სკიდან; რომელ ხარისხის თაფლი ითვისება საუკეთესოთ.

**17. მეთევზეობა.**

მეთევზეობა და სათევზაო აუზები; თევზის გავრცელებული ჯიშები; თევზის დაჭერის საშუალებანი; დაჭერით თევზის გამოყენება და მისი რეალიზაცია (სად და რა პირობებში); მეთევზეობის არტელები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.—საქთევზის მოქმედება.—თევზის ხელოვნური მოშენება.

**18. ნ ა დ ი რ ო ბ ა.**

1) რაზე ნაღირობს ადგილობრივი მოსახლეობა უმთავრესად (გარეული ღორი, კურდღელი, დათვი, მგელი, ირემი, ჯიხვი, კვერნა, ხოხობი, როჭო, იხვი, ბატი, ვნოლი, კაქაბი და სხვ.).

2) რა ადგილი უჭირავს ნადირობას ადგილობრივ მოსახლეობის მეურნეობაში.

3) ნადირობის წარმოების და მოკვლის წესები და საშუალებანი (თოფი, ხაფანგი და სხვ.).

4) ადგილობრივ მონკავშირის მოქმედება.

5) გარეულ ცხოველების (მხეცების) მოშენება.

**19. შინა მრეწველობა.**

1) რამდენად განვითარებულია ასაწერ ადგილში შინა მრეწველობა.

2) შინა-მრეწველობის დარგები და მათი დახასიათება.



3) რა მდგომარეობაშია ამჟამად შინა-მრეწველობა?

## 20. საბჭოთა ვაჭრობა.

- 1) ასაწერ ადგილის სავაჭრო ორგანიზაციების წლიური ბრუნვა სექტორების მიხედვით.
- 2) საკოლმეურნეო ვაჭრობა და მისი ხვედრითი წონა;
- 3) საცალო ვაჭრობის ქსელი (სახელომწიფო ვაჭრ, კოოპერატ., კერძო).
- 4) საქონლის გამტარი ქსელი ქალაქად, სოფლად და სხვ.
- 5) ყველა სახის დამზადებანი დინამიკაში.
- 6) ადგილობრივი წარმოების და შემოტანილი საქონელი და პროდუქტები.
- 7) კოოპერატიული ვაჭრობის ორგანიზაცია.
- 8) რამდენად აკმაყოფილებს სამომხმარებლო კოოპერაცია ადგილობრივ მოსახლეობის მოთხოვნებს.
- 9) ქალაქის, დაბის, სოფლის ბაზრის ზოგადი დახასიათება.
- 10) კერძო ვაჭრობის დახასიათება.

## 21. შინაენახვი.

- 1) სოფლის, დაბის, ქალაქის საშემოსავლო და საგა-სავლო ბიუჯეტი დინამიკაში ძირითად მუხლების მიხედვით
- 2) საკასო გეგმის შესრულება საბანკო განყოფილებების მიერ.
- 3) საღსრების მობილიზაციის გეგმის შესრულება ძირითად მუხლების მიხედვით.

## 22. კურორტები და სამთოკლიმატიური სადგურები.

- 1) სახელწოდება და ადგილმდებარეობა.
- 2) კურორტების და სამთოკლიმატიურ სადგურების გეომორფოლოგიური, ჰიდროლოგიური და კლიმატოლო-გიური აწერა (ზედაპირი; ოროგრაფია; მდინარეები; ნია-დაგი; ტემპერატურის რყევა დღის, თვის და წლის განმავლობაში; ქარი; ატმოსფერული ნალექები; მცენა-



რეულობა; მინერალური და სამკურნალო წყლები; სამ-  
კურნალო ტალახი; ზღვის ნაპირი; პლიაჟი და სხვ.)

3) კურორტების და სამთოკლიმატიური სადგურების  
მოწყობილობა.

4) კურორტების და სამთოკლიმატიური სადგურების  
სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დახასიათება და  
სხვა.

ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი

## დამატება.

### 1. მშენებლობა.

- 1) რა თანხა იხარჯება მშენებლობაზე წლების და დარგების მიხედვით.
- 2) მშენებლობის მთავარი ობიექტი.
- 3) ადგილობრივი სააღმშენებლო მასალის გამოყენება (ამ მასალების დასახელება).
- 4) ბინათმშენებლობა.
- 5) კომუნალურ მეურნეობის დარგები; კაპიტალური დაბანდებანი კომუნალურ მეურნეობაში.

### 2. სახალხო განათლება, კულტურა, ხელოვნება.

- 1) მოსახლეობის წერა-კითხვის ცოდნა დინამიკის და სქესის მიხედვით.
- 2) ახალი სასკოლო მშენებლობა.
- 3) ბავშვების სკოლის ასაკამდე ჩაბმა საბავშვო დაწესებულებებში.
- 4) საერთო დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლება.
- 5) სკოლების სახეები და ქსელი.
- 6) პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის დაყენების დახასიათება.
- 7) სკოლის გარეშე, სკოლის და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის დაყენების დახასიათება.
- 8) გამანათლებელთა კადრები.
- 9) ბიბლიოთეკები, სამკრთხველოები და სხვ.
- 10) ბეჭდვითი საქმე; ჟურნალები; გაზეთები.
- 11) თეატრი, კინო, მუსიკა და სხვ.

### 3. პარტმშენებლობა.

- 1) პარტიული და კომკავშირელთა უჯრედები და მათი მუშაობა.



2) პარტგანათლება.

3) პარტიის ზრდა.

#### 4. საბჭოთა მუშაობა.

1) ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობა—ეროვნების, სქესის, პარტიულობის და სოციალური მდგომარეობის მიხედვით (წლების მიხედვით).

2) მოსახლეობის მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში.

3) საბჭოთა სექციების მუშაობის დახასიათება.

#### 5. პროფკავშირები.

პროფკავშირთა მუშაობის დახასიათება.

#### 6. ჯანმრთელობა.

1) ასაწერ ადგილის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

2) გავრცელებული ავადმყოფობანი და მათი გავლენა მოსახლეობის შრომის უნარიანობაზე.

3) სანიტარულ და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი და მოსახლეობის ამ დაწესებულებებით უზრუნველყოფა.

4) საბავშვო ბაგათა ქსელი.

5) კადრები.

6) მოსახლეობის უზრუნველყოფა სამკურნალო დაწესებულებებით და სამედიცინო პერსონალით.

ტფილისი

1934 წ. 12 მარტი.

1/3

76278/1



326070 კვ3.